

თიბისი ბანკმა ვიზა ბარათების ფესტივალის გამარჯვებულები დააჯილდოვა

პრესრელიზი

16 აპრილი, თბილისი 2010 – დღეს, თიბისი ბანკი ვიზა ბარათების ფესტივალის გამარჯვებულებს დაასახელებს. ცნობილი გახდება იმ ბარათისმფლობელის ვინაობაც, რომელმაც მთავარი პრიზი მოიგო და ოჯახთან ერთად, პარიზის დისნეილენდში გაემგზავრება.

თიბისი ბანკის ვიზა ბარათები ფესტივალი 15 დეკემბერს დაიწყო და 15 მარტამდე გაგრძელდა. ამ პერიოდში თიბისი ბანკის ნებისმიერი ვიზა ბარათის მფლობელი, რომელმაც ბარათით გააკეთა მინიმუმ 5 ლარიანი შენაძენი საქართველოს სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში, ავტომატურად გახდა ფესტივალის მონაწილე.

31 მარტს, ლოტორიის საშუალებით, რომელშიც ფესტივალის ყველა მონაწილის ბილეთი იყო მოთავსებული, გამოვლინდა 100 იღბლიანი მომხმარებელი. თუმცა, გამარჯვებულების ვინაობა მხოლოდ დღეს გახდება ცნობილი.

საპრიზო ფონდი საკმაოდ მრავალფეროვანია. მთავარი პრიზის – პარიზის დისნეილენდში მოგზაურების – გარდა, გამარჯვებულებს გადაეცემათ: ლეპტოპი, მობილური ტელეფონები, iPod-ები, არტ თაიმის, ვულე ვუს, ელიტ ელექტრონიკის და Adress – ის ვაუჩერები.

თიბისი ბანკმა ვიზა ფესტივალის განხორციელება 2004 წლიდან დაიწყო და დღემდე წარმატებით აგრძელებს ამ ტრადიციას. ამ ხნის მანძილზე, ფესტივალის შედეგად, ძვირფასი პრიზები მიიღო თიბისი ბანკის ვიზა ბარათების 400-მდე მფლობელმა. მათ შორის ყველაზე იღბლიანებს კი, მსოფლიოს ღირსშესანიშნავ ადგილებში მოგზაურობის საშუალება მიეცა.

- ◆ ფიზიკური პირების მომსახურება;
- ◆ კორპორატიული კლიენტების მომსახურება;
- ◆ საინვესტიციო საბანკო მომსახურება;
- ◆ პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO ხარისხის სერტიფიკატი მიენიჭა;
- ◆ თიბისი ტექნოლოგიების ბაზარზე
- ◆ თიბისი ტექნოლოგიურ სერვისებში;
- ◆ კობრენდ პროდუქტების ინოვაციური საბანკო სფეროში;
- ◆ ახალი ტიპის ულტრათანამედროვე საბანკო ფილიალების “მომსახურება ბარიერების გარეშე” ინოვაციური საქართველოში;
- ◆ ფლობს წამყვან პოზიციებს სხვადასხვა საფინანსო სფეროებში: თიბინგის, საბროკერო და სადაზღვევო ბაზრებზე;
- ◆ პირველი ქართული კომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა;
- ◆ FitchRatings: B + and B
- ◆ Moody's: B 3 and Ba 1

სს „თიბისი ბანკი“ დაფუძნდა 1992 წ. და გამოირჩევა განვითარების წარმატებული ისტორიით. სტაბილურად ინარჩუნებს საბანკო სექტორში წამყვანი საფინანსო ინსტიტუტის პოზიციას. 2007 წელს თიბისი ბანკი საქართველოს ფარგლებს გასცდა და რეგიონალური განვითარება დაიწყო. ბანკის აქციონერები: IFC, DEG, EBRD, FMO, JP Morgan, Ashmore და ქართველი კერძო პირები.